საბჭოთა კავშირის განვითარების 60 წლის ისტორიის მანძილზე სოციალიზმის მტრებს არაერთგზის, მაგრამ უშედეგოდ, უცდიათ ძირი გამოეთხარათ სრული თანასწორუფლებიანობის, თანაუსუფლებისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებზე გაერთიანებული მისი ხალხების მრავალეროვანი ოჯახის ურღვეველ ერთიანობისა და ძმური მეგობრობისათვის. მაგრამ სსრ კავშირმა ყველა განსაცდელს გაუძლო, ხაზი გაუსვა ბ. ესპინოსამ, და კიდევ „უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა.

ლონდონი. „ირლანდიის კომუნისტები ულოცავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს სახელოვან იუბილეს — საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს“,— უთხრა საკვლისს კორესპონდენტს ირლანდიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ **ჯ. სტეფარტმა.**

მან განსაკუთრებით აღნიშნა სსრ კავშირში ეროვნული საკითხის დაგაწყვეტის მნიშვნელობა, ამასთან თქვა, რომ საბჭოთა კავშირი იძლევა იმის მაგალითს, რომ მხოლოდ სოციალიზმის პირობებში შეიძლება ერების რეალური თანასწორუფლებიანობის მიღწევა, მათი კულტურული ცხოვრების ყველა ასპექტის განვითარება.

„მე ვყოფილვარ სსრ კავშირში და მინახავს, რა კოლოსალური ნაბიჯი გადადგა წინ საბჭოთა ხალხმა უბრალო ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. რესპუბლიკებში ცხოვრების მაღალი მატერიალური დონე, ექსპლოატაციის სრული არარსებობა, ხალხების გეგმაზომიერი ეკონომიკური განვითარება თითოეული რესპუბლიკის პირობების გათვალისწინებით— აი რა ახასიათებს დღეს სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებას“ — განაცხადა ჯ. სტეფარტმა.

მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა უანგარო დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად და პრინციპულად უწევს სხვადასხვა ქვეყანას ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში, საბჭოთა კავშირის უდიდესი წვლილი მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში.

ხელისუფალთ ჩაბარდნენ

დელი. ექსტრემისტთა დიდმა ჯგუფმა, რომელიც მოქმედებდა ჩრდილო-აღმოსავლეთი ინდოეთის მანიპურის შტატში, ნებაყოფლობითი დაყარა იარაღი და ჩაბარდა ხელისუფალთ. მთ უარი თქვეს რესპუბლიკის ეროვნული ერთობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ გამიზნულ ხრიკებში შემდგომ მონაწილეობაზე.

ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ მანიპურის მთან და ტყიან რაიონებში კვლავ მოქმედებს კიდევ დაახლოებით ათასი შეიარაღებული ბანდიტი. არ არის სიმშვიდე მეზობელ შტატებსა და მოკავშირე ტერიტორიებზე — ნაგალენდში, ტრიპურში არუნაჩალ-პრადეშში, მეზორამში. ექსტრემისტები თავს ესხმიან მოშორებულ სოფლებს, გზებზე უსაფრთხოებას, ჭალაკებში თავს ესხმიან პატრიოტული განწყობილებით ცნობილ მოღვაწეებს.

ინდოეთში კარგად იციან, რომ ძველი ეს აქცია სულაც არ არის ცალკეული შემთხვევითი მოვლენა, ეს არის რგული ეგრეთ წოდებული „ბრაჰმაპუტრის“ გეგმის კრთიანი შეთქმულებისა, რომლის დამუშავებაშიც მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერო სამმართველოს „სპეციალისტები“. „წყნარმა ამერიკელებმა“ განიზრახეს ინდოეთის წაართვან სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ჩრდილო-აღმოსავლეთი რაიონები და მათ ბაზაზე შექმნან ეგრეთ წოდებული „დამოუკიდებელი სახელმწიფო“.

ამისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთის რაიონებში მოქმედებენ ამერიკელი დივერსანტები, რომლებიც მისიონერებად, სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების თანამშრომლებად

ᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲫᲛᲣᲠᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — ᲓᲘᲓᲘ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲜᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ** ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ 878,7 ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚᲘ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲐ.

● ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲠᲒᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲡᲘ ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ.

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 110 ᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜ ᲥᲛᲣᲠ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ.

● ᲛᲗᲘᲡᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲨᲣᲨᲕᲘᲡ 2 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲕᲐᲓᲠᲐᲢᲣᲚ ᲛᲔᲢᲠ ᲥᲡᲘᲠᲘᲡ; ᲝᲠᲘ ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲢᲔᲚᲔᲒᲘᲖᲝᲠᲘᲡ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 1200 ᲤᲘᲠᲐᲓᲘ; 1000-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ.

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲘᲗ ᲑᲐᲛᲝᲛᲨᲕᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲮᲣᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲜᲘᲨᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲜᲐᲡᲐᲮᲣᲠᲐ.

● ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ 79 ᲓᲐᲬᲘᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ 25 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ.

● ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ 1075 ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲫᲛᲘᲡ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲙᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲜᲐᲛᲣᲨᲐᲕᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲗᲫᲛᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲓᲘ ᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘ.

● ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ 4.279 ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ, 26 ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, 65 ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ, 503 ᲙᲘᲜᲝᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲘ, 282 ᲙᲚᲣᲑᲘ.

● ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡ�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲕᲡ ᲗᲘᲗᲘᲗᲫᲛᲘᲡ 15 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ, ᲗᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲔᲜᲔᲑᲘ — 6,5 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ.

ᲔᲠᲗᲘ სადა და ალალი ლექსი, ისე წმინდა და ისე მართალი, როგორც თვით ხალხი, სიმღერად დადის საქართველოში:

„მოსკოეო, ხმალო ნალესო,
შუქო დიდ ჩირაღდანისა...“

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲩᲕᲔᲜᲘ სიყმაწვილის გარიჟრაჟზე თვითონ ეს სიტყვაც ისე უშუალოდ, ისე ბუნებრივად შემოდის ყოველი ᲩᲕᲔᲜᲘᲡ გულსა და გონებაში, როგორც ყველა დანარჩენი ძვირფასი სიტყვა, ᲣᲠᲛᲔᲚᲘᲡᲛᲝᲓᲐᲪ ᲕᲔᲠ იქნება კაცის ცხოვრება.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ᲯᲔᲠ კიდევ საუკუნეების წინათ აციადგა იგი ათას განსაცდელში მოქცეული ᲩᲕᲔᲜᲘ სამშობლოს მოქუფრულ ცაზე, როგორც დღის ნათელის მაცნე ცისკრის ვარსკვლავი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — საბჭოთა ქვეყნის გული, სოციალისტური სამშობლოს სიმბოლო, ქალაქი — გმირი, ქალაქი — მშრომელი! რა დიდებულად მიანარა რევოლუციის ქარტეხილებში გამობრმმდილი მისი ქედუხრელობა ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ხალხს დიდმა პოემამ, ვინაც ბედმა არგუნა, რომ მოეტანა საქართველოში „სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა“:

„გახსენებისას მომმახოდა მტანჯველი
ლანდი:
შენ და მოსკოეი, პეტროგრადი,
ლენინი, კრემლი!“

კრემლის კურანტებმა ახალი ეპოქის დაწყება აუწყა კაცობრიობას და იმ მღელვარე, დიდებული ჟამიდან მოყოლებული მოსკოვს ნოლად ხვდა — იყოს ᲩᲕᲔᲜᲘ დიადი ქვეყნის, მთელი კაცობრიობის ცხოვრების ყველაზე უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გულის-გულში. იმ მღელვარე, დიდებული ჟამიდან მოყოლებული ქვეყნის, პლანეტის, თითოეული ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲓᲐ განუყრელად დაუკავშირდა მოსკოვს.

ეს მან, მოსკოვმა, აუწყა კაცობრიობას 1922 წლის 30 დეკემბერს: შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ღრმა შინაარსით არის აღსავსე თვითონ ის ფაქტიც, რომ სწორედ მოსკოვი გახდა ისტორიაში არნახული ამ დიადი თანამეგობრობის დედაქალაქი.

ეს მან, მოსკოვმა, აუწყა მთელ ქვეყანას 1977 წლის 7 ოქტომბერს: მიღებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია — ეპოქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, და აქაც, ᲩᲕᲔᲜᲘ ცხოვრების ძირითადი კანონის წიგნში, ᲛᲘᲠᲝᲜᲘ ასოებად ბრწყინავს სტრიქონები: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქია ქალაქი მოსკოვი...

იგი ყოველი ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘᲡ შშობლიური ქალაქია, ვერ ნახავთ კაცს, თუნდაც პირველად იყოს მოსკოვში, უცხოდ რომ გრძნობდეს თავს. აქ ხომ ყველაფერი ასე ნაცნობი და ძვირფასია: წითელი მოედანი, ლენინის მავზოლეუმი, საბჭოების სახლი, უცნობი ᲯᲐᲠᲘᲡᲐᲪᲘᲡ საფლავი, ლალისფრად მოკიაფე კრემლის ვარსკვლავები, მწვანე საზეიმოდ მოგუბგუნე კურანტები...

მიხვალ, მიუყვები მის ფართო, მშვენიერ ქუჩებს და პროსპექტებს. ნათელი, მაღალი, ამაყი — შენ ხელგაშლილი, გულგაშლილი გეგებება შენი ქვეყნის დედაქალაქი იმგვარი სითბოთი და სინრფელით, როგორითაც აგერ, ამ რამდენიმე დღის წინათ მასპინძლობდა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საბჭოთა საქართველოს დღეებში მონაწილეობისა-თვის წარგზავნილ ᲩᲕᲔᲜᲘ რესპუბლიკის დელეგაციას. რა ძმური უშუალობით იყო ალსავსე ეს შეხვედრები ყველგან — ქარხნებში, ფაბრიკებში, უმაღლეს სასწავლებლებში, პარტიის საქალაქო კომიტეტში... მანამდეც სწორედ ასე ხვდებოდა იგი მოძმე უკრაინიდან თუ უზბეკეთიდან, ლატვიიდან თუ სომხეთიდან, ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან ᲩᲐᲛᲝᲡᲣᲚ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡ სტუმრებს, ყველას, ვისაც ერთი დიადი სამშობლო „გვაქვს — საბჭოეთი, და ყველას, ვისაც ერთნაირად გვიყვარს მისი ქალაქების დედა — მოსკოვი.

მუდამ დიდი საქმეების მედროშე და თაოსანი ახალ სიმაღლეთა დასაპყრობად გვიხმობს და მიგვიძღვის; პარტიის ყრილების საპატიო ტრიბუნიდან აქ ითქმის ყველაზე მთავარი და ავტორიტეტული სიტყვა, აქ ისახება მომავლის გრანდიოზული გეგმები და მათი ხორცშესხმის გზები. აქ იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქვეყნის, საერთაშორისო ცხოვრებისთვისაც. აქ ეთათბირ ე ბ ი ა ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელები. აქ იმართება საერთაშორისო შეხვედრები, ფორუმები. აქ მასპინძლობენ მრავალი სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიის მეთაურებს. აქ დღემუდამ ფიქრობენ, ზრუნავენ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ პლანეტის მშვიდობიან აწმყოსა და მომავალზე.

ამიტომაც იქცა საბჭოეთის დედაქალაქი ყველა ხალხისათვის, მშვიდობისათვის, სოციალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მედროშედ. ყველა კონტინენტის მილიონობით მშრომელი მასში ხორცშესხმულ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, პლანეტის რევოლუციურ და პროგრესულ ძალთა ურღვევ კავშირს ხედავს.

მოსკოვი უკეთესი მერმისისათვის ბრძოლის სათავეში დგას, ხოლო მოსკოველები ამ ბრძოლის ავანგარდში არიან მუდამ.

მთელ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐᲜ ეამაყება მოსკოველ მანქანათმშენებელთა, ᲩᲐᲠᲗᲨᲔᲜᲔᲚᲗᲐ, ავტომშენებელთა, ავიატორთა, ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲝᲗᲛᲨᲔᲜᲔᲚᲗᲐ თუ მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა თავდადებული გარჯა და შრომითი გამარჯვებები.

მოსკოველები აქტიურად მონაწილეობენ სახალხო მეურნეობის ყველაზე მნიშვნელოვანი გეგმების განხორციელებაში. ისინი მხარში უდგანან ბაჰის მშენებლებს, მუხლჩაუხრელად შრომობენ ციმბირისა თუ შორეული აღმოსავლეთის სათბობ-ენერგეტიკული და ნედლეული სიმდიდრის ასათვისებლად, არაშემინანიდაგაინი მხარის გარდასაქმნელად.

კარგა ხანია ეს ქალაქი სულიერი ცხოვრების უდიდეს ცენტრად აქცია მსოფლიოში ცნობილმა თეატრებმა, მუზეუმებმა თუ ბიბლიოთეკებმა.

თანამედროვეობის ყველაზე აქტუალურ საკითხებს იკვლევენ და ამუშავებენ აქ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, ათასზე მეტ სამეცნიერო დაწესებულებაში.

რწმენით, გულდაჯერებით წინამძღვრობს მოსკოვი სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული გრანდიოზული ეკონომიკური თუ სოციალური ამოცანების განხორციელებას. ამ რწმენას, ამ ძალისხმევას სიმტკიცე შემატა ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ დედაქალაქში გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, სიტყვამ, რომელიც პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ი. ვ. ანდროპომ წარმოთქვა. პლენუმმა ნათლად დაადასტურა პარტიის ხანგრძლივი სტრატეგიული მიმართულება, რომლის მიზანია ის, რომ საბჭოთა ადამიანები წლითიწლობით უკეთ ცხოვრობდნენ, სულ უფრო ნაყოფიერი იყოს მათი შრომა, სულ უფრო სრულად ᲩᲕᲔᲜᲘᲓᲔᲑᲝᲛᲓᲔ ᲩᲕᲔᲜᲘ სოციალისტური წყობილების პუმანური არსი, ამოუწურავი აღმშენებლობითი შესაძლებლობანი.

მოსკოველებმა ახლაც, როგორც ყოველთვის, მთელ ხალხს უჩვენეს პარტიის საქმისათვის ერთსულოვანი დარაზმულობის მაგალითი. მათ გადაწყვიტეს, გადაჭარბონ შრომის ნაყოფიერების, ნარმოების მოცულობის ზრდის, ნაწარმისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების გეგმებს. ისინი უერთგულებენ თავიანთ სოციალისტურ ვალდებულებას: ხუთწლედის ბოლოსათვის 50 პროცენტამდე გაზარდონ ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოება.

წლევანდელ განსაკუთრებით სამახსოვრო 1982 წელს, როცა უდიდესი ისტორიული მოვლენის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავი აღინიშნება, სახელოვან ტრადიციათა ღირსულმა მემკვიდრეებმა — მოსკოველებმა ერთხელ კიდევ ისახელეს თავი გმირული შრომით. მათ ყოველდღიურ საბრძოლო დევნაზად იქცა მთელ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ასე ერთსულოვნად ატაცებული ლოზუნგი: „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს — 60 დამკვრელური კვირა!“.

ასეთივე საყოველთაო მხარდაჭერა პოეა მოსკოვის შრომმელთა თაოსნობამ, რომ 18 დეკემბერს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა გამართულიყო. აი, ეს გახლავთ ძველი, ᲩᲣᲛᲛᲐᲠᲘᲜᲐᲓ მოსკოვური ტრადიციის სახელოვანი განგრძობა. შაბათობის დღეს ყოველ სამუშაო ადგილზე შრომის ნაყოფიერების საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს მათ. განსაკუთრებით ისახელეს თავი დედაქალაქის ფეიერებმა, მოსკოვის მახარისხებელი დეპოს მუშებმა. კ. სალტიკოვ-შჩედრინის და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სახელგანთქმულმა აკადემიურმა მუსიკალურმა თეატრმა ამ დღეს წარმოდგენილი სპექტაკლის მთელი შემოსავალი ხუთწლედის ფონდში ჩარიცხა...

ასე შევიდა 18 დეკემბერი, კომუნისტური შრომის ეს შესანიშნავი დღესასწაული, კიდევ ერთ ბრწყინვალე ფურცლად ᲩᲕᲔᲜᲘᲡ დედაქალაქის გმირულ მატიანეში. დიახ, არაფერი, არაფერი არ ამშვენებს ამ დიდებულ წიგნს ისე, როგორც მოსკოველთა თავდადებული შრომა და გარჯა.

ზეიმიც ბრძოლასა და შრომაში გამარჯვებულთ შვენის...

დიდსა და ნათელს, ურღვევი ძმობის, მეგობრობის, ჭირსა და ლხინში მარადიული განუყრელობის დღესასწაულს მოუცავს ᲩᲕᲔᲜᲘ დედაქალაქი, ᲩᲕᲔᲜᲘ მოსკოვი. იგი დღეს ამაყად ისმენს შემოქმედი ხალხის, მძლეთამძლე ხალხის — საბჭოთა ადამიანების დიად გამარჯვებათა პატაკს.

მთელი პლანეტა გულისძგერით მიაყურადებს მოსკოვში საზეიმოდ გაშლილი ნითელი დროშების შრიალს.

დაე, გილხინდეს მარად, ნათელი რწმენისა და დიდი იმედების ქალაქო!

შენ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — ᲓᲘᲓᲘ, ᲣᲫᲘᲠᲝᲑᲐ ᲩᲘᲠᲐᲚᲓᲜᲘᲡ ᲨᲣᲥᲘ!

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲔᲑᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ 12 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲘ. ᲐᲥ ᲐᲠᲘᲡ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲞᲘᲠᲘᲡᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡᲐ და ᲑᲠᲝᲨᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ, ᲒᲐᲖᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘᲐ ᲓᲐᲑᲭᲔᲭᲓᲘᲚᲘ, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ Ვ. ᲓᲖᲔᲠᲟᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ. ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲘᲡ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ „ᲠᲝᲡᲘᲐᲡ“ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ Ს. ᲡᲛᲘᲠᲜᲝᲕᲘ, ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲘᲡᲘ ᲝᲢᲔᲚᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲘᲞᲘᲚᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐᲚᲘ ᲐᲥᲕᲘᲡ.

— ᲓᲐ ᲠᲐᲙᲘ, ᲯᲘᲠᲯᲘᲠᲝᲑᲗᲝᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲘᲜᲐᲮᲝᲗᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲜᲝᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ-ᲡᲐᲪᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲛᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲛᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ — ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲗᲐ ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ

ჭ ი დ ი ლ ი ცა შ ი

მ ა რ ა დ ღ ა ლ ბ ი ს ს ო ვ ნ ა შ ი

„პი დავით ჯაბიძე, — თქვა ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა თეიმურაზ ბადურაშვილმა, და კედელზე გაკრული უზარმაზარ ფოტოსურათთან შეჩერდა, რომლიდანაც შემოგვიცქერის ახალგაზრდა

მფრინავი, ლეიტენანტი. ფრონტელ კორესპონდენტს იგი აღუბეჭდავს, როგორც კი საპაერო ბრძოლიდან დაბრუნებულა. დავითი თავის „იაყზე" დგას, რომელიც ჯერ არ გაცივებულა შეტაკების შემდეგ. — იქნება, გაგიგონიათ იმ გმირობის ამბავი, რომელიც მან ორმოცდაერთში გამოიჩინა...".

ლენინგრადიდან დიდი მიწისქვეშა მიიწევდნენ უკანასკნელი ეშელონები. პატარა სადგურ მშინსკაიაში ჩარჩა სამგზავრო შემადგენლობა. ფაშისტებმა ის-ის იყო გადაკვრეს სამხრეთისაკენ მიმავალი გზა, და ახლა გამოირკვა, რომ არის შესაძლებლობა მატარებელი გატჩინის გავლით გაგზავნონ. მატარებელში კი იყვნენ ყმაწვილები — ლენინგრადის ბავშვთა სახლების სკოლამდელთა ჯგუფების რვაასი აღსაზრდელი. თბილი, ულრტხლო ამინდი იდგა. ყმაწვილები ვაგონებიდან გამოიყვანეს. მათ ჯერ კიდევ არ ესმოდათ, რომ ირგვლივ ომი მძვინვარეს და მხიარულად თამაშობდნენ. და უცებ ავბედითი ჩრდილი დაიდგა ეშელონს.

...ბომბები სცდებოდა ლინდაგის მარცხნივ, ჭაობში, რამაც საშინელად შეაშინა ბავშვები. მშვიდად, როგორც სასწავლო პოლიგონზე, „ოუნვერსმა" მეორე წრე შემოხაზა და ისევ დაიწყო ირიბში. ახლა მფრინავებმა გაითვალისწინეს ჭარის მიმართულება და უკვე აღარ შეიძლებოდა შეცდომა მოსკოველთა ბომბების დაშვებაში. სულ უფრო ახლოვდებოდა შავი ბომბდაშვნენ... მაგრამ შეშინებულ ბავშვებს, რომლებიც მიწას გაჰკვროდნენ, არც გაუგონიათ ბომბების მზარი გრუხუნი. სად იყო და სად არა, წიფელიარსკვლავიანი „იაკი" გამოჩნდა ცაში სადგურის თავზე. იგი მიუახლოდა ფაშისტურ თვითმფრინავს და ცეცხლი დაუშინა. „ოუნკერსი" ცაში დაიშალა და იმავე ჭაობში ჩავარდა, სადაც ის-ის იყო თავისი ბომბები ჩამოყარა...

ძალიან მალე, მუზეუმის დათვალიერების შემდეგ, გავიცანით დავით ჯაბიძე მოსავლის მხიარულ დღესასწაულზე — თბილისობაზე, გამოჩენ ადამიანთა ღიმილით გამთბარ დღესასწაულზე, როცა ჰაერი გაფლეთნილი იყო შემოდგომის ყვავილთა სურნელით. გარნიზონის ახალგაზრდა მეომრებთან ერთად დავით ჯაბიძე სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პავილიონებს ათვალიერებდა.

— დღეს კვლავ ახალგაზრდად ვიგრძენი თავი, — ღიმილით თქვა ჯაბიძემ, — ხედავთ, რა კაბპანია ყოფილ? გადაეწყვიტე ბიეკბისათვის მეჩვენებინა, რა სიმღერის პატრონი რესპუბლიკა, სადაც ისინი მხედრულ სამსახურს გადიან.

დროს გაუპატარავებია ვეტერანის ნინა საფეთქლები, ნაოჭები მოუმრავლებია სახეზე, მაგრამ მაინც იცნობდით ორმოცი წლის წინანდელი ფოტოსურათით: ისეთივე ახალგაზრდული, ცოცხალი თვალები, ისეთივე ახოვანი, ნაკარჩიგები ტანი ჰქონდა.

— ბატონო დავით, ჩვენ გვინდა გაგისაუბროთ იმ გარდასულ დღეებზე.

— კეთილი, გთხოვთ მობრძანდეთ ჩემთან.

კარი მისმა მეუღლემ და მეგრძოლმა მეგობარმა ანა ვასილის ასულმა გაგვიღო.

— დავითი რადაც შეუძლოდ შეიქნა, — აღელვებით გვითხრა მან. — ულნვერსიტეტშიც არ წასულა: ლექციების წასაკითხად.

— ვერ მოიფარე თავს, გავიცოდი, — თითქოს თავს იმართლებსო, თქვა ოთახიდან გამოსულმა დავითმა. თბილად იყო ჩაცმული, იმ დღეს კი თბილისში მზიანი ამინდი იდგა: ზაფხულ კოსტიუმზე ბეწვის პალტოვერი ჰქონდა გადაკეთებული. — სულ ვერიდები ორპირ ქარს, მეშინია, არ გავიცივდე. — მერე კიდევ ერთი სტუმარი გაგვაცანო:

— იცნობდეთ, ჩემი მეგობარი, არტემ ივანეს ძე აზიროვი, პარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი.

ჩვენ იგი ვიცანით. მისი ფოტოსურათიც გაქონდა ნანახი მუზეუმში.

მასპინძელმა კაბინეტში გაგვიყვანა და გვითხრა:

— მაშ ასე, მე თქვენ გისმენთ.

— ჩვენ გვინდა უფრო მეტი შევიტყოთ მფრინავ ჯაბიძეზე, უწინარეს ყოვლისა, რას აკეთებდა ეს მფრინავი ომამდე?

რას აკეთებდა? იყო ჩვეულებრივი სოფლის ბიჭი, ცხოვრობდა პატარა ქართულ სოფელ ჩხარში. ეხმარებოდა მამას ვენახში, ყანაში, პირუტყვის მწყემსვაში. მერე მუშაობდა ტყიბულის მაღაროებში, საღამოობით სწავლობდა. შვიდი თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. კომკავშირის მოწოდებით მესამე კურსიდან სტალინგრადის საავიაციო სასწავლებელში წავიდა. ომის დაწყების წინ უკვე მფრინავი იყო და გაიგზავნა 158-ე საავიამანადგურებელ პოლკში, რომელიც ფსკოვის რაიონში იყო განლაგებული. ომის პირველ საათებში პოლკი ღირსეულად დაუხვდა მტერს ლენინგრადის ცაში, სულ მალე კი მისი მეომრების საბრძოლო გმირობაზე მთელი ქვეყანა ალაპარაკდა. სტეფანე ზდოროვცევი, პეტრე ხარტიონოვი, მიხეილ ეკიკოვი თავიანთი ავიაგამანადგურებლებით ტარნავფნენ მტრის ბომბდამშვნებს. ბერძა სავამა ნახა სამარე ესადილიის მეთაურის პეტრე პოკრიშევის იერიშის შემდეგ, რომელიც ჩვენი სამაჯრო ფლოტის ერთ-ერთი ყველაზე სახელმოხვეჭილი ასი გახდა.

ცდილობდა თავის მებრძოლ მეგობრებს არ ჩამორჩენოდა ლეიტენანტი ჯაბიძეც. შნინსკაიას სადგურში ჩამოდებული ფაშისტური თვითმფრინავი მისი უკვე მეზუთე საბრძოლო ნადავლი იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ კი სამი „იაკი", რომლებიც „ესპ" ბომბდამშვნების ესკადრილიას ახლდა, თხუთმეტ „მესერშმიტს" შეხვდა. რგოლის მეთაურმა, ლეიტენანტმა ჩორკოვმა პირველივე ჯერზე ჩამოაგდო ფაშისტური ჯგუფის მეფინავე თვითმფრინავი. ძეერებივით ეკვეთნენ „მესერები" ჯაბიძე სასწრაფოდ გაეშურა მის დასახმარებლად, ჩამოაგდო ერთი „მესერი", მაგრამ ერთი წამით ადრე მტრის ჟუჟი გასცდა მის მოტორსი. ტყვიის ნამსხვრევები მხარში მოხვდა და მარცხენა ფილტვში ჩარჩა. ძალადობლეული მფრინავი გადმოხტა ფეთქებული მანქანიდან ცეცხლის ტრასებით დასერილ ცაში, სადაც ორი „იაკი" განაგრძობდა ჭიდილს ცამეტ „მესერთან".

მაგრამ აი, ერთ-ერთი ფაშისტი გამოვიდა ბრძოლიდან და გრძელი რიგი დაუშინა პარაშუტისტს. ტყვიებმა სულ ახლოს გაიზუზუნა. „მესერი" კვლავ ჩაება ირიშში. ეს იყო სამნილი ცხოველური გართობა — ესროდნენ ცაში გამოკიდებულ კაცს, რომელსაც არ შეეძლო თავი დაეცვა, სრულიად სროლით ეპასუხა.

მოახლოებულმა ფაშისტმა ხელი დაიჭირა გამეტს. მაგრამ იმავე წამს მასსა და პარაშუტისტს შორის გამოჩნდა საბჭოთა ავიაგამანადგურებელი. უმცროსი ლეიტენანტი ნიკოლაზ შიონვილი თავისი მანქანის კორპუსით ჩამოეფარა მებრძოლ მეგობარს...

მიწა კი უკვე ახლოს იყო. პარაშუტი ფიქვის წვერზე გაეგბა. მფრინავს არ ახსოვდა, რამდენ ხანს ეკიდა ხეზე. მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა ორი პარტიზანი — ყმაწვილი ბიჭი და წვეროსანი ძია ოთხთვალეზე აწვენდნენ.

ბიჭმა სწრაფად დაძრა ცხენები. ისინი მიეროდნენ ბურცობებზე და ხეებებში: გზად შეიძლებოდა გერმანელები შეხვედროდნენ. სწრაფი სვლისაგან, ნჯღრევისაგან დაჭრილი ძალიან ცუდად გახდა, ყელიდან სისხლი ამოხეთქა. გონს თხუთმეტი დღის შემდეგ მოვიდა ლენინგრადის ჰოსპიტალში: პარტიზანებმა მოახერხეს მისი გაგზავნა ფრონტის ხაზს იქით. ათობით ადამიანი იბრძოდა ოფიცრის გადასარჩენად. ჭრაკის შუქზე გაეფეთქებინა სარტლიერიო ცეცხლის წვიმაში ექიმებს მარჯდენიე ოპერაცია გაუკეთეს. საოთახეთან მედდები მორიგეობდნენ. უცნობმა ქალაშვილებმა, რომლებიც თვითონ ძლივს ოდგნენ ფეხზე შიმშილი, თავიანთი სისხლი გაიღეს მფრინავისათვის. შოფერებს სიცოცხლის ყინულოანი გზით, ბომბების გრიალში მიჰყავდათ იგი ზურგზე...

კიდევ რვა თვეს იწვა მფრინავი ჩელიაბინსკისა და ზლატოუსტის ჰოსპიტლებში.

საექიმო კომისიამ გასინჯა ახალგაზრდა კაცი, თავმჯდომარემ თავი გააქნია:

— თქვენ ვერ შეძლებთ ფრენას — სიმაღლე, გაუხშოებული ჰაერი... გაცივდებით — და მოერჩა... შეიგნეთ, ბოლოს და ბოლოს: თქვენ ერთი ფილტვი გაქვთ...

— თქვენ კიდევ ნურავის ნუ ეტყვით, რომ ერთი ფილტვი მაქვს, — სთხოვა მფრინავმა.

ჰოდა, ლეიტენანტი ჯაბიძე მოხვდა „დრაკონის" ავიაგამანადგურებელ კორპუსში. „დრაკონი" კორპუსის მეთაურის გენერალ ე. ი. სავიცკის მოხმობის ნიშანი იყო. ყუბანის ცა მამაცი ავიაგამანადგურებელი მფრინავის მეორე დაბადება გახდა. ყოველდღე ახალ-ახალი ბრძოლები იმართებოდა. იყო სასაკვლო ჭიდილი მტერთან ნოვოროსიისკის, ტერჩის სრუტის, სივაშის და პერეკოპის ცაში.

— შესაძლოა, ჩვენ ვხვდავდით შენს „იაკს" ცაში მეორე მიწის ერთ-ერთი სანგრეთან, —თქვა აზიროვმა, არტილერიის ყოფილმა ოფიცერმა.

— სავსებით შესაძლებელია, — დაუდასტურა დავითმა და გაანგრძრძო: — მფრინავს ძალიან ეშინოდა ზღვაში ჩავარდნის, მან ცურავა არ იცოდა.

მაგრამ უძირო ზღვაზე მეტად ლეიტენანტს გაეცინა ეშინოდა. ბესუნდარე ყირიმის ცაში მფრინავები შიშველ ტანზე გადაცმული კომბინეზონებით დაფრინავდნენ, ჯაბიძე კი სვიტრი ეცვა. მას ახსოვდა ეკიმების ვაფრთხილება, რომლებმაც ხელის ანკაადად. დაბრუნდა, დაწერა საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაცია. ორივე დისერტაცია პარტიის ლენინური ერთგნული პოლიტიკის შემოშვებას მიეძღვნა.

— და მაინც, რა ბედი ეწია იმ რვაას ბავშვს?

— ეშელონმა მშვიდობით ჩაიყვანა ციმბირში, — თქვა დავითმა. — სოფელ ზარიანსკში გაბნეს სა-ბავშვო სახლი. შემდეგ ბავშვებმა მიიგეს მფრინავს „ლენინგრადსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული წერილი, და გიმბართა მიმოწერა. ერთხელ ლექსებიც კი გამოუგზავნეს.

მეცნიერმა წაიკითხა ეს ლექსი და განაგრძო:

— ის ბავშვები გაიზარდნენ. მაგრამ სამავშვო სახლი უწინდებურად არსებობს. მას ასევე უწოდეს კიდევ: ზარიანსკის ლენინგრადის № 1 სბავშვო სახლი. მისი პატარა აღსაზრდელები წერილებს სწერენ მფრინავს. ამ ცოტა ხნის წინათ სტუმრადაც მიეპატიჟეს...

— რამხელა ამბავია! — წამოძახა რაიკომის მდივანმა აზიროვმა. — ქართველმა მფრინავმა მამაცურად დაიცვა რვაასი ლენინგრადელი ბავშვი. ეს ფაქტიდან რიდი კითხულობ, დავით, უნივერსიტეტი ლექციებს საბჭოთა ხალხების მეგობრობაზე.

საუბარმა გვიანობამდე გასტანა, გამომშვიდობებისას დავითმა გეითხრა:

— შემიიარეთ, როცა დრო გექნებათ. — და კარებამდე მიგვაცილა...

ვაპირებდით შევლას. დავურეკეთ შინ. ვიღაცამ გვიპასუხა:

— დავით ვასილის ძე აღარ არის. ვეღარასოდეს ვეღარ მოვა ტელეფონთან...

ყურმილში გულისცემასავით გასისმა ხმირი ზუმერი...

მიდიან ვეტერანები; მიდიან დროზე ადრე, ვიდაზე ადრე. მათ კი ჯერ უნდა ეცოცხლათ და ეცოცხლათ. ემუშავათ და ეხართ...

მაგრამ ცოცხლობს ლენინგრადი, ცოცხლობენ განაღლებული მინსკი და ვარშავა, რომელთა კედლებთან იბრძოდა მფრინავი ჯაბიძე. ცოცხალია რვაასი კაცი იმ ეშელონიდან, რომელიც მან გადაარჩინა, ცოცხლები არიან მათი შვილები, შვილიშვილები. მუშობს ასობთი სპეციალისტი, რომლებსაც პროფესორი ჯაბიძე ასწავლიდა დიად, ყოვლისმძლე მოძღვრებას — მარქსიზმ-ლენინიზმს. და, მაშასადამე, სამუდამოდ დარჩება ქვაღი ეკთილი, რომელიც მფრინავმა ჯაბიძემ გაავლო ცაზე, შინსკაიას სადგურის თავზე, ქეთილი ქვალი, რომელიც მან დატოვა დედამიწაზე.

გ. ლეგანიძე,
ი. შატუნოვსკი,
(„პრავდის" ხეიც. კორ.).
„პრავდა", 1982 წ. 19, XII.

ეძღვნება სახელოვან ფარიოს

გამოფენა ...ა. ...ის დასტამბა პლაკატების ახალი სერიები და კომპოზიტები, რომლებიც სსრ კავშირის მექმნის 60 წლისთავს ეძღვნება. ისინი ასახავენ სსრ კავშირის შექმნის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ძმურ მეგობრობას, შესანიშნავ წარმატებებს, რომლებიც საბჭოთამ მოიპოვა ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების მეოხებით.

ერთ-ერთი სიახლეთაგანია კომპოზიტი „საბჭოთის პლაკატები". აქ წარმოდგენილია მოკავშირე რესპუბლიკების წმიდაყინ გრაფიკოსთა ნაწარმოებები 1918 წლიდან დღემდე. ფურცლები თვალსაჩინოდ ასახავენ სოციალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და განვითარების ძირითად ეტაპებს.

სერია „ოდიდე მარდ, ჩემო სამშობლოვ!" ასახავს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკურსა და სულიერ აყვავებას, პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის განუყრელ კავშირს.

ამავე თემას ეძღვნება პლაკატების კომპლექტი „ხალხთა ლენინური მეგობრობა".

„აღმშენებლობისა და მშვიდობის ლენინური კურსით" — ამ სერიის პლაკატები აშუქებენ პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკას, რომლის მიზანია ქვეყანად მშვიდობის განმტკიცება. (საკ.ინ.კორ.).

ა. ი. ვეფხვაძე



ჩვენმა სახეობამ ხელოვნებამ დიდი დამაკლისი განიცადა. გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ალიქსი ივანეს ძე ვეფხვაძე.

ა. ი. ვეფხვაძე დაიბადა 1921 წელს ქალაქ თბილისში გამორჩეული მხატვრის ივანე ვეფხვაძის ოჯახში. დაწყებითი განათლება თბილისის სამხატვრო სასწავლებელში მიიღო, სადაც 1936-41 წლებში ჩინებული პედაგოგების ბ. შებუევის და ვ. შერპილოვის ხელმძღვანელობით დაეუფლა მხატვრობის საფუძვლებს.

1941 წელს ა. ვეფხვაძე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში შედის, მაგრამ არ ამთავრებს მას და სწავლას ლენინგრადის ი. რეპინის სახელობის ფერწერის, ქანდაკების და არქიტექტურის ინსტიტუტში განაგრძობს ბატალური ფერწერის განხორციელებას. აქ მისი უშუალო ხელმძღვანელი პროფესორი ო. ფრუნცი იყო.

1948 წელს ა. ვეფხვაძის სადიპლომო ნაშუშეური, ფართო ბატალური სურათი „პეტრე ბაგრატიონი ბოროდინოს ველზე" საგამოცდო კომისიამ „ფრიადზე" შეაფასა. ამკამად ეს ტილო მოსკოვის პანორამის მუზეუმის „ბოროდინოს ბრძოლის" მშენებლობა, მისი ერთ-ერთი ვარიანტი კი ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო მუზეუმის ექსპოზიციაშია დაცული.

სამშობლოში დაბრუნების პირველი წლებიდანვე ა. ვეფხვაძე აქტიურად ჩაება ქართველი მხატვართა შემოქმედებითის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი შედის მხატვართა კავშირის რიგებში, მას ირჩევენ მხატვართა კავშირის გამგეობის წევრად. იგი სისტემატიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო სახატვრო გამოფენებში. პარალელურად ა. ვეფხვაძე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ფერწერის კათედრაზე.

1949 წელს ა. ვეფხვაძე მუშაობას იწყებს დიდი ზომის ფერწერულ სურათზე „ი. ბ. სტალინის გასახლება ბათუმიდან 1903 წელს". ამ ნაწარმოების შექმნისათვის ა. ვეფხვაძეს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ნაყოფიერად მუშაობდა ა. ვეფხვაძე გრაფიკის დარგშიც. მას არაერთი წიგნი და სამავშვო ჟურნალი გაუფორმებია მხატვრულად. მაგრამ ა. ვეფხვაძის ფთაგონება ძირითადად მაინც ფერწერა იყო. ა. ვეფხვაძე ალეგორიულ ფერწერული სურათებისა „მზე ჩვენთანაც ამოვა", „დიდი პოეტი" (რომელიც მხატვარმა რუსთაველის იუბილეს უძღვნა), „ბეჭა ოპიზარი", „ვეფ-ფშაველ", „საიათნოვა", მანვე შექმნა საქართველოს ისტორიული წარსულისადმი მიძღვნილი სურათების სერია.

თავისი ენერგიული ბუნებით, ნათელი იუმორით ა. ვეფხვაძე თავის გარშემო მოდგმ ქმნილ ყოფილ ბალისიან ატმოსფეროს, იმსახურებდა კოლეგების, მეგობრების სიყვარულსა და პატივისცემას. ასეთივე დარჩება იგი ჩვენს მეხსიერებაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო; საქართველოს მხატვართა კავშირი.

რედაქტორი
გ. ბედნეიშვილი.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

დილა სვანეთის მთებში

ს. კილაძის ფოტო.

ᲧᲐᲑᲐᲮᲘ

ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲚᲘᲠᲡᲔᲣᲚᲗ

სსრ კავშირის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მოწვევით მოსკოვში მყოფმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხ. ა. სამარანჩმა ოლიმპიურ მოძრაობაში მოპოვებული დამსახურებისათვის ოლიმპიური ორდენები გადასცა საბჭოთა ტანმოვაჯაჭიებს ელენე მუხინასა და ლუდმილა ტურიშევას. მსოფლიოში პოკეის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის პრეზიდენტმა სსრ კავშირის ჰოკეისტთა ფედერაციი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპატენი ვიმპელით დააჯილდოდა.

მ. ᲒᲔᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲐ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ კვირას თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა საქართველოს ამაღლებული პირველობა ქართულ ჭიდაობაში. საქართველოს ფალავნის სახელის მოსაპოვებლად ერთმანეთს შეეჯიბრნენ თბილისელი, ქუთაისელი, მცხეთელი, გორელი, თელაველი, კასპელი, ქარელელი, ახმეტელი, საგარეჯოელი და ხაშურელი ახალგაზრდები. თბილისსა და საქართველოს რაიონებმა დააწესეს სახელოვან ქართველ ფალავანთა სახელობის პრიზები.

სპორტის სასახლეში მისულმა მაყურებელმა, რომელთა შორის რაიონებიდან ჩამოსულიც ბევრი იყო, ქართული ყოფის ელემენტებით სავსე თეატრალიზებულ-სპორტული სანახაობა — ლაბი, ცეკვა-სიმღერა და დიდ-პატარის ჭიდაობა იხილა. ამის გამო მარილაც დიდი მადლობა ეთქმოთ შეკიბრების ორგანიზატორებსა და სასახლის დირექციას.

ასპარეზობა ოთხ წონითს კატეგორიაში გაიმართა. საშუალო წონაში ყველას აჯობა თელაველმა გ. ჭელაურმა. ფინალში მან თბილისელი გ. გუგავა დამარცხა. გამარჯვებულმა ახზორ კიკანის პრიზი მიიღო, გუგავას კი შაშო ვერელის პრიზი გადაეცა.

ქვეძმეი წონითს კატეგორიაში გაიმარჯვა თელაველმა გ. ბაბალაშვილმა. მას ზაქრო ბაკურაძის პრიზი გადასცეს. მეორე ადგილზე გამოსული გორელი მოკიდავე ჯ. მკედლიშვილი კოსტა მაისურაძის პრიზით დაჯილდოვდა.

მძიმე წონაში ბორბალი მოპოპოა თბილისელმა ტ. მუთთიშვილმა. მას დავით ხიზამბარიანის პრიზი გადაეცა. ფინალში მის მეტოქეს ახმეტელ ნ. დავთაშვილი კალა ა ელენ გლდანელის პრიზი ერგო.

უმძიმეს წონითს კატეგორიაში გაიმარჯვა ახალგაზრდა ქარელელმა ოთხეფანე მ. ბერუაშვილმა, ორმეტსაც სპორტის მოყვარულნი კარგად იცნობენ როგორც ძიუდოისტს. მან ირსენ მეკოკეშვილის პრიზი მოიპოვა. მის მეტოქეს კალ ა ელენ ა. ყურაშვილს იაკობ ეგნატაშვილის პრიზი გადაეცა.

ამსოლუტური ჩემპიონის გამოსავლენებლად გამარჯვებულნი ერთ-ერთ ოთხეული ნახევარფინალის წესით დაწყვილდა. ჭეველაურმა მოუგო ბაბალაშვილს, ბერუაშვილმა კი მუთთიშვილს. ასე რომ ფინალში ერომანეთს საშუალო და უმძიმესი წონების მოჭიდავეები შეეხვეწნენ. ბერუაშვილს გაეცილებით მოუბეჭი მეტოქის წუთ-ნახევარში სუფთად დამარცხება არ გაძლეულია.

ამრიგად, საქართველოს 1982 წლის ფალავანი მალხაზ ბერუაშვილი. მას სანდრო კანდელაკის პრიზი გადაეცა. გ. ჭეველაური ნეტარ ესეიუს პრიზით დაჯილდოვდა.

თ. მიგრიაული.

42-Ე ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲘᲠᲝ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ გრძელდება მოჭადრაკეა ქალთა 42-ე საკავშირო ჩემპიონატი. მეათე ტურში აზმარეშოვამ დაამარცხა კოლოვასკაია, ეპშტეინმა — ფერეიელი, ლატნსკაიამ — ჩეზოვა. ტატიანეკო და ფათალიბეკოვა დაზაფდნენ. გადაიდო ხუგაშვილ-ჩელუშკინის, გურიელ-არაბაშიანის, ი ო სელიან-მიზოგინის, ლელუშკ-კულიკოვა ს ა და ზაიცევა-პიარნპუის პარტიები. მეთერთმეტე ტურში აზმარეშოვამ მოიგო იოსელიანის, მიზოგინამ — ლელუშეს, ჩელუშკინამ — გურიელს. ყაიმზე შეთანხმდნენ ფერეიელი და ზაიცევა. გადადიო ჩეზოვა-ხუგაშვილის, პიარნპუოლატენსკაიას, ფათალიბეკოვა-ეპშტეინის, კულიკოვა-ტატიორუნკოსა და არაბაშია-კოზლოვსკაიას პარტიები.

მეთორმეტე ტურის წინ აზმარეშოვას 7,5 ქულა ჰქონდა, იოსელიანს და ჩელუშკინას — 6,5-6,5 (თითო გადადებული პარტია), ეპშტეინს — 6 (2), ლატნსკაიას — 6 (1), მიზოგინას და ფათალიბეკოვას — 5,5-5,5 (თითო), გურიელს — 5 (1), არაბაშიას და პიარნპუეს — 4,5-4,5 (2-2), ზაიცევას და კოზლოვსკაიას — 4,5-4,5 (თითო), ეკიკოვს — 4,5, ტატიორენკოს, ჩეზოვას და ხუგაშვილს — 3,5-3,5 (თითო), ლელეჩუს — 3,5, კულიკოვას — 3(2).

ᲨᲔᲛᲔᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲚᲐᲠᲝᲔᲑᲘ 60 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲠᲝ, ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲘ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ შემნახველი სალაროები რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით 1922 წლის დეკემბრის დამლევს შეიქმნა. საქართველოში პირველი ასეთი სალარო გაიხსნა 1923 წელს ქუთაისში, შემდგ კი თბილისსა და რესპუბლიკის სხვა დიდ ქალაქებში. მომდევნო წლისათვის რესპუბლიკაში 11 შემნახველი სალარო და 5 ათასი მეანაბარე იყო.

1931-32 წლებში შესამჩნევად გაიზარდა შემნახველი სალაროების მუშაობის მოცულობა და მასშტაბები. სახელმწიფო სეიხმი დიდი ოდენ შეისრულა მოსახლეობის ფულადი რესურსებია მობილიზაციაში ქვეყნის სახალხო შეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ეკონომიკის ზანუხრელი აღმავლობა შესაძლებელი გახდა მთელი ძალებისა და სახსრების მობილიზაციით, რაც კარგად ესმოდათ ჩვენნ ქვეყნის მშრომელებს. ისინი არა მარტო თავდადებით შრომობდნენ, არამედ თავიანთ ბირად დანაზოგებსაც არ იშურებდნენ და აქტიურად აწერდნენ ხელს სახელმწიფო სესხზე.

პირველ ხუთწლეულში სესხის შემოსავლად შედიოდნა თანხა, რომელიც მაგნიტოგორსკის სამეტალურგიული კომბინატის ღირებულებას აღემატებოდა. იმ სახსრებით, რომლებიც მშრომელებმა სესხის სახით სახელმწიფოს მეორე ხუთწლედში მისცეს, შეიძლებოდა აშენებულიყო 22 ისეთი საწარმო, როგორიც არის გორკის ავტოქარხანა.

ამავე პერიოდში შემნახველმა სალაროებმა დაიწყეს ოპერაციები დამატებითი სესხების გაცემაზე სასოფლო, საქალაქო, რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობებისათვის. შემნახველი სალაროების ავტორიტეტი და ნდობა ყოველწლიურად იზრდებოდა.

სამამული ომის წლებში სამხედრო დანაზარჯების დასაფინანსებლად საჭირო გახდა დიდძალი სახსრების გაღება, ეს მაშინ, როცა ბიუჯეტის შემოსავალმა სამოქალაქო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის შემცირების შედეგად მკვეთრად იკლო.

ზალზი დიდი პატრიოტული გრძნობითა ეხმარებოდა სახელმწიფოს.

საშემნახველო საქმის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საკასო-სალაროო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით 1963 წლის 1 იანვრიდან შემნახველი სალაროების სისტემა გადაეცა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს.

შემნახველი სალაროების მიერ ანაბრებით მოზიდულ სახსრებს იყენებენ სასესხო ფონდის შესაკრეფლად. დღეისათვის რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში ირიცხება 2,162 ათასი ანგარიში ანაბრებზე. რესპუბლიკის ყოველი მესამე მეხოვრები არის შემნახველი სალაროს მეანაბრე.

სახელმწიფო სესხის ობლიგაციების რეალიზაციისა და ფულისა და ნივთების ლატარიის ბილეთების გაყიდვის შედეგად შორაშ რესპუბლიკის შემნახველ სალაროებში შემოვიდა მილიონობით მანეთი.

1974 წელს შემნახველი სალაროები შეუდგნენ მოსახლეობაში ხელმოწერით გავრცელებული სესხის დაფარვას. დღეისათვის მთლიანად დაფარულია 1947-1950 წლებში გამოშვებული ობლიგაციები, მომდინარე წლის 17 დეკემბერს დაიწყო 1951 წელს გამოშვებული ობლიგაციების დაფარვა.

შემნახველი .სალაროების მრავალმხრივი მომსახურებით სარგებლობს თითქმის ყოველი ოჯახი, 1982 წლის 1 იანვისისათვის 223 საწარმოს 54.977 მუშა და მოსამსახურე, აგრეთვე 7 კოლმეურნეობის 8.705 წევრი ხელფასს შემნახველი სალაროების მეშვეობით იღებდა. ამან მოსახლეობისათვის გაუკვეული ხელსაყრელი პირობები შექმნა. მათ შეუძლიათ თავიანთი ხელფასი მიიღონ ნებისმიერ დღეს, ეს არის აუცილებელი მთელი თანხის აღება, ხელფასის ნაწილი დანაზოგის სახით შეიძლება დარჩეს საშემნახველო წიგნაკზე.

დიდი მუშაობაა გაწეული მოსახლეობისაგან სხვადასხვა სახის გადასახადების მიღებისათვის; დღეისათვის რუსთავსა და ბათუმში კომუნალური გადასახადების მიღება წარმოებს ერთიანი საგადასახადო დოკუმენტით. უფრო ინტენსიურად ინერგება მეანაბრეთა დავალებით კომუნალური და სხვა გადასახადების ერთფრფოული და ბრალჯერადი უნაღდო ანგარიშსწორების ფორმები.

მასობრივი ხასიათისაა სსრ კავშირის საპრომშრომსალაროების საანგარიშსწორო ბაგშვო სახლი. შემდეგ ბავშვებმა მიიგეს მფრინავს „ლენინგრადსკაია პრავდაში" გამოქვეყნებული წერილი, და გიმბართა მიმოწერა. ერთხელ ლექსებიც კი გამოუგზავნეს.

მეცნიერმა წაიკითხა ეს ლექსი და განაგრძო:

— ის ბავშვები გაიზარდნენ. მაგრამ სამავშვო სახლი უწინდებურად არსებობს. მას ასევე უწოდეს კიდევ: ზარიანსკის ლენინგრადის № 1 სბავშვო სახლი. მისი პატარა აღსაზრდელები წერილებს სწერენ მფრინავს. ამ ცოტა ხნის წინათ სტუმრადაც მიეპატიჟეს...

— რამხელა ამბავია! — წამოძახა რაიკომის მდივანმა ბ. ...ომ. — ქართველმა მფრინავმა მამაცურად დაიცვა რვაასი ლენინგრადელი ბავშვი. ეს ფაქტიდან რიდი კითხულობ, დავით, უნივერსიტეტი ლექციებს საბჭოთა ხალხების მეგობრობაზე.

საუბარმა გვიანობამდე გასტანა, გამომშვიდობებისას დავითმა გეითხრა:

— შემიიარეთ, როცა დრო გექნებათ. — და კარებამდე მიგვაცილა...

ვაპირებდით შევლას. დავურეკეთ შინ. ვიღაცამ გვიპასუხა:

— დავით ვასილის ძე აღარ არის. ვეღარასოდეს ვეღარ მოვა ტელეფონთან...

ყურმილში გულისცემასავით გასისმა ხმირი ზუმერი...

მიდიან ვეტერანები; მიდიან დროზე ადრე, ვიდაზე ადრე. მათ კი ჯერ უნდა ეცოცხლათ და ეცოცხლათ. ემუშავათ და ეხართ...

მაგრამ ცოცხლობს ლენინგრადი, ცოცხლობენ განაღლებული მინსკი და ვარშავა, რომელთა კედლებთან იბრძოდა მფრინავი ჯაბიძე. ცოცხალია რვაასი კაცი იმ ეშელონიდან, რომელიც მან გადაარჩინა, ცოცხლები არიან მათი შვილები, შვილიშვილები. მუშობს ასობთი სპეციალისტი, რომლებსაც პროფესორი ჯაბიძე ასწავლიდა დიად, ყოვლისმძლე მოძღვრებას — მარქსიზმ-ლენინიზმს. და, მაშასადამე, სამუდამოდ დარჩება ქვაღი ეკთილი, რომელიც მფრინავმა ჯაბიძემ გაავლო ცაზე, შინსკაიას სადგურის თავზე, ქეთილი ქვალი, რომელიც მან დატოვა დედამიწაზე.

გ. ლეგანიძე,
ი. შატუნოვსკი,